

გრიგოლ ფერაძე

ალბათ ვერასდროს წარმოიდგენდა ემიგრაციაში მყოფი ბაკურციხელი ბიჭი, სამშობლოში დაბრუნება მისი უკანასკნელი, აუხდენელი ოცნება გახდებოდა. სამშობლოდან შორს მყოფს მუდმივად საქართველო ენატრებოდა...

მისი ცხოვრების ათვლა 1899 წლიდან იწყება, ფერაძეების ოჯახში, აგვისტოს ბოლო დღეს მეორე ბიჭი დაიბადა, რომელსაც სახელად გრიგოლი დაარქვეს. ხელმომჭირნედ მცხოვრები ოჯახი მეორე ვაჟის დაბადებას განსაკუთრებული სიხარულით შეხვდა. გრიგოლამდე იყო არჩილი და შემდეგ უკვე ვასილი...გრიგოლ ფერაძის მამა რომანოზ ფერაძე მღვდელი იყო, დედა მარიამ სამადაშვილი მოძღვრის ქალიშვილი, რამაც დიდი ალბათობით გრიგოლის სამომავლო საქმიანობის განსაზღვრაში გარკვეული როლი ითამაშა, მან სწავლა სასულიერო სასწავლებელში გააგრძელა. მოგვიანებით კი სხვა სფეროთიც დაინტერესდა და 1918 წელს სწავლა ახლად დაარსებულ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე დაიწყო. სწავლის პარალელურად კი სკოლაში მასწავლებლად მუშაობდა.

გამორჩეულ და აქტიურ სტუდენტს სწავლის დროებით შეწყვეტა სამხედრო სამსახურის გამო მოუწია, მაშინ ქვეყანაში უმძიმესი პერიოდი იყო, გროგოლი თავის ორ ძმასთან ვასილთან და არჩილთან ერთად აქტიურად იბრძოდა მე-11 არმიის წინააღმდეგ. სწორედ ამიტომ საქართველოს ანექსიის შემდეგ, ჯარიდან დაბრუნებულს დაპატიმრება ემუქრებოდა, რის გამოც ის დედაქალაქს გაარიდეს და სოფელ მანავში მასწავლებლად გაგზავნეს.

შემდეგ იყო გელათი და იქ გამართული მესამე საეკლესიო კრება, სადაც გრიგოლის ევროპაში სასწავლებლად გამგზავრების საკითხი გადაწყდა. მაშინდელი წყაროების ცნობით გრიგოლის უცხოეთში გამგზავრებით კათოლიკოსიც ყოფილა დაინტერესებული...

საინტერესოა გრიგოლ ფერაძის ცხოვრების ერთი ეპიზოდი, როცა ის სამშობლოში გატარებულ ბოლო აღდგომის დღესასწაულს აღწერს, ჩანაწერში ვკითხულობთ: „1 მაისი, ლოცვას აღავლენდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე, წირვის დამთავრებისას, როცა პატრიარქი ტაძრიდან

გამოვიდა, შეჩერდა, მან ჩემი ორივე ხელი აიღო და მამობრივი მზრუნველობით წარმოთქვა მრავალგზის: განეშორე, იხსენი შენი სიჭაბუკე! შევიგრძენი მამაშვილური მზრუნველობა, სიმწარე, ტკივილი და სევდაც“.

გრიგოლ ფერაძე განათლების მისაღებად გერმანიაში გაგზავნეს, ის ბერლინის უნივერსიტეტში თეოლოგიას და აღმოსავლურ ენებს სწავლობდა.

სანამ გრიგოლი ევროპულ განათლებას იღებდა, ამასობაში საქართველოში კომუნისტური წყობა დამყარდა და უცხოეთში მცხოვრებ ქართველებს სამშობლოსკენ გზა დაეკეტათ. რადგან სამშობლოში დაბრუნებაზე იმ დროისთვის ფიქრიც კი ზედმეტი იყო, გრიგოლი ინგლისში გაემგზავრა და იქ სამეცნიერო მუშაობას შეუდგა. ამის პარალელურად ის აქტიურად იყო ჩაბმული სარწმუნოებრივ- საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც.

შობის დღესასწაული იყო, გრიგოლი მძიმედ დაავადდა. სიკვდილის პირას მისულს ხილვა ჰქონდა, რომ უფლისთვის ბოლომდე უნდა მიეძღვნა თავი. ასეც მოხდა, აპრილის თვეში ლონდონის წმინდა სოფიის ბერძნულ საკათედრო ტაძარში გრიგოლი ბერად აღიკვეცა, მალევე კი იმავე ტაძარში დიაკვნად ეკურთხა.

მისი სასულიერო მოღვაწეობა პარიზში, მის მიერვე დაარსებულ წმ ნინოს სახელობის ქართულ ეკლესიაში გაგრძელდა. საფრანგეთის შუაგულში ქართული ტაძარი ქართველი ემიგრანტებისთვის ერთადერთი შვება იყო, აქ მოსმენილი ქართული წირვა ლოცვა კი მათ სამშობლოს მონატრებას ოდნავ უმსუბუქებდათ.

მოგვიანებით გრიგოლ ფერაძე პოლონეთში, ვარშავაში არსებული მართლმადიდებლური სასულიერო სკოლის დირექტორად მიიწვიეს. მამა გრიგოლი დაკავებული იყო სხვადასხვა ქვეყნის მუზეუმებსა და ბიბლიოთეკებში დაცული ქართული ხელნაწერების მოძიება შესწავლით.

სწორედ გრიგოლ ფერაძის ძალისხმევით გადაურჩა განადგურებას ექვთიმე თაყაიშვილის მიერ საფრანგეთში გახიზნული ქართული საუნჯეც.მეორე მსოფლიო ომის დროს, როცა ფაშისტებმა თითქმის მთელი ევროპა დაიპყრეს, შეიტყვეს, საფრანგეთის ერთ-ერთ ბანკში ერთი პატარა ქვეყნის დიდი ქონება ინახებაო. ამ ქონების შესაფასებლად მათ გრიგოლ ფერაძე მიიწვიეს, როგორც ცნობილი მეცნიერი და ექსპერტი. მამა გრიგოლმა ფაშისტებს განუცხადა, ეს ქონება არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს, ის უბრალოდ ქართველებისთვისაა ძვირფასი, როგორც ეროვნული შემოქმედებაო. ფაშისტებმა

როგორც ჩანს გრიგოლის ნათქვამი სარწმუნოდ მიიჩნიეს და სწორედ ასე გადაურჩა საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი განძი განადურებას.

ომის დროს ფაშისტები ხალხს სასტიკად ექცეოდნენ, აწამებდნენ, ხოცავდნენ, განსაკუთრებით კი პოლონელებს და ებრაელებს ერჩოდნენ, მამა გრიგოლი ხშირად იფარებდა ასეთ ადამიანებს, თავშესაფარს და საზრდოს უნაწილებდა. ის კარგად აცნობიერებდა თუ რა საფრთხეს უქმნიდა ამ საქციელით საკუთარ თავს, თუმცა ამის მიუხედავად მას არასოდეს უთქვამს უარი სხვის დახმარებაზე.ხალხზე ზრუნვისა და დახმარების გამო მამა გრიგოლი შეიპყრეს და ციხეში ჩასვეს, სადაც მან სიცოცხლის უკანასკნელი წუთები გაატარა.

როგორც მასთან ერთად მყოფი პატიმრები იხსენებდნენ, მამა გრიგოლთან ერთად ბანაკში ერთი მრავალშვილიანი ებრაელი ყოფილა, რომელსაც ფაშისტებმა გაზის კამერაში გაგუდვა გადაუწყვიტეს. მამა გრიგოლს შებრალებია ეს კაცი, მისი სასჯელი თვითონ აუღია თავზე და მის მაგივრად შესულა გაზის კამერაში. ეს იყო 6 დეკემბერს 1942 წელს...

მუდამ სხვაზე მზრუნველმა საკუთარი სიცოცხლე სხვისი სიცოცხლის გადასარჩენად დათმო, მისი უკანასკნელი სურვილი, რომ წამით მაინც დაედგა ფეხი მშობლიურ მიწაზე მის აუხდენელ ოცნებად დარჩა.

გრიგოლ ფერაძე იყო ადამიანი, რომელმაც საკუთარი მოღვაწეობით, ქვეყანას ქართული მიწისგან შორს გაუთქვა სახელი, რომ არა მისი ღვაწლი შესაძლოა მაშინ შორეულ ევროპაში არავის სცოდნოდა პატარა ქვეყნის შესახებ რომელსაც საქართველო ჰქვია...

საქართველოს მართლმადიდებლურმა ეკლესიამ გრიგოლ ფერაძე 1995 წელს 19 სექტემბერს წმინდანად შერაცხა. 2013 წელს კი მას ეროვნული გმირის წოდება მიანიჭა.

მართმადიდებელი ეკლესია წმინდანის ხსენების დღეს 6 დეკემბერს აღნიშნავს..

ავტორი: მაკა ლაშხია